# ოჯახში დასაქმებულთა შრომითი უფლებები



## იცოდით, რომ?

საქართველოში ოჯახში დასაქმებულთა უდიდეს ნაწილს - დაახლოებით 98-99% - **ქალები** წარმოადგენენ.

ოჯახში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი **სრულ განაკვეთზე** მუშაობს.

ამ ტიპის დასაქმებულთა დაახლოებით 93-98%-ს **წერილობითი ხელშეკრულება** არ აქვს, რაც პრაქტიკაში მათი შრომითი უფლებების დაცვას ართულებს.

**საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ოჯახში დასაქმებულის ცნებას, თუმცა კანონი თანაბრად იცავს ყველა დასაქმებულის უფლებებს!**

ოჯახში დასაქმება ძირითადად არაფორმალურია, ამიტომ ოჯახში დასაქმებულები ხშირად ისეთი შრომითი სტანდარტების მიღმა რჩებიან, როგორიცაა:



- შესვენება
- დასვენება
- შვებულება
- დეკრეტული შვებულება
- ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება
- საავადმყოფო ბიულეტენი და ა.შ.



## ამგვარი მოპყრობა უკანონოა!

**ოჯახში დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ ღირსეული, თანასწორი და უსაფრთხო სამუშაო პირობები!**

**თუ ხართ ოჯახში დასაქმებული და თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა მოგვმართეთ, და ერთად დავიცვათ თქვენი შრომითი უფლებები!**

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება:

**(032) 2 24 24 49**

**www.gtuc.ge**



USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST · WEST MANAGEMENT INSTITUTE

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

საკგ GTUC